

## ვირი, ვეფხი, მელი და მგელი

ერთი ვირი გლაზაკისა კაცისა, მიჭირვებული და მჭლე, გაეპარა პატრონსა თვისსა და წავიდა, ერთსა მაღალსა ადგილსა დაისადგურა.

ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა და წყალთა პირსა ხენი შვენიერნი იდგნეს, დიდნი კლდენი მოსცემდენ, კორდნი – მწვანენი, ყვავილოვანნი. თურე ვეფხის სამკვიდრო იყო და მუნ დადგა.

ვეფხი ნადირობად იყო. მოვიდა, ნახა, დიდად ეუცხოვა და დიდად შეშინდა. რა ვირმან ვეფხი ნახა, თავისის სიკვდილის მოციქული ეგონა, ყურნი წაიცქვიტნა და დიდი დაიყვირა. ვეფხს ესეთი შიშის ზარი ეცა, გზათა კვალი ველარ გაიგნო, კლდეზედ გარდაიჭრა და გაიქცა.

მიმავალს მელი შემოეყარა. სცნა შეჭირვებული მივიდოდა, თაყვანი სცა და მოახსენა: ნადირთ მეფეო, სად მიბრძანდები, ანუ რად დაგიღრეჯიო?

მან უთხრა: ჩემსა სამეფოსა ერთი უცხო ბუმბერაზი მოსულა, მისის შიშით ველარ დავდეგ და გამოვეცალე, მით დამიღრეჯიო!

ჰკითხა მელმან მისი ამბავი. მან ყველა უამბო: სახე მისი, ოთხფერხოზა, ყურდილობა და ხმამაღლიობა, ფერი და, რაც რამე სჭირდა, ყველაყა.

მელმან მოახსენა:

– ეგე ვირია, ნუ მირბი, მე მას გავაძებ და თქვენ უზრუნველად განისვენეთ!

ვეფხმან არ მოუსმინა; მელიც თან გაჰყვა, წავიდნენ.

შემოეყარათ მგელი, თაყვანი სცა და მერე მელს ჰკითხა:

– რად შეჭირვებულა, ანუ სად მიბრძანდება?

მელმან მგელს ყოველივე უამბო: ვირის გამოქცეული მირბისო, ვუშალე და არ დაიშალაო.

მგელმან მოახსენა. ნუ სწუხხარ, ჩემი სადილია, დია მშიან, შეიქეც, მის საქმეს მოგახსენებო!

ვეფხმან ეგრე უთხრა: თუ ჩემი ღალატი არ გნებავსთ და მართლა მეტყვით, ერთი თოკი მოიღეო, შუა მე მოვებმი და აქათ ერთი მომეხით და იქით მეორე. ერთად მივიდეთ და რაღაცა დაგვემართოს, სამთავ სწორად დაგვემართოსო!

წავიდა მელი, თოკი მოიპარა, მოიტანა. სამნივ გამოებნეს და ერთად მივიდნენ. რა ვირმან ესენი ერთად მისულნი ნახა, ვაება გაუმრავლდა, შექმნა ყვირილი და ზახილი. ვეფხი შეშინდა, მრჩეველებს აღარა უსმინა რა, თოკს მოზიდნა და ორნივე დაარჩო, თვით გარდაიხვეწა. უკანის თქვა: თუ არ მას ადგილს ჩემი

დარჩომა არსად არ იქმნება, წავიდე და მას ბუმბერაზს ვეყმო, ეგება დამინდოს და ჩემსა ალაგსა კიდეც ვნახევდე ხოლმეო.

მივიდა ვირთან დიდის კრძალვით, შეეხვეწა და ეყმო. ვირს მისგან ეშინოდა და მას უფრო ვირისაგან.

უბრძანა ვირმან:

- რადგან მეყმევ, კარგად დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას მოგცემ, ორს შეცოდებასაც შეგინდობ, და მესამეს ერიდე!

იყვნენ და განისვენებდნენ.

გამოხდა ხანი. ვირს ეძინა. ვეფხს ნავარდი მოუნდა და წყალს გახლტა, მჭავლს კუდი დაჰკრა, ვირს წუნწკლი შეასხა: გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა.

მეორეზე ვირი წყალში ჩავიდა, წყალი დიდი იყო, ვირი წააქცია და დალუპა. შეიჭრა ვეფხი, ვითამ ბატონს მოეხმარა, და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტეხოს რაო.

გაუწყრა: მე კალმახს ვნადირობდი, შენ რად გამომიყვანეო?

ვეფხს მესამის შეცოდების რიდი ჰქონდა და გარდაიხვეწა, იგი ადგილი ვირმან დაიმკვიდრა.

- ძეო მეფისაო! ესე არაკი ამად მოგახსენე, მას ვეფხივით მრჩევლებს ნუ დაარჩობ, უგვანს ნუ დაენდობი, გაუსინჯავად საქმეს ნუ იქმ, თვარა ბოლოს დაინანებ.

თქვა ჯუმბერ არაკი: